№ 37 16 თებერვალი, შაბათი. 1866—1880 16 თებერვალი, შაბათი № 37

რედაქცია
ერევნის მეიდანზე, შუაბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.
ხელის-მოწერა
მიიღება „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію Дроэба“-„Иверіи“
„დროება“-„ივერიის“ ფასი

	წელიწადში.	6 თვეს:	3 თვეს
„დროება“-„ივერია“ ერთად	13 მან.	7 მან.	4 მ.
ცალკე „დროება“	9 მან.	5 მან.	3 მ.
ცალკე „ივერია“	6 მან.	4 მან.	2 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებრივის ასო-მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ. წვრილებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

დროება-ივერია

ამ 1880 წლიდამ შეერთებულის რედაქციით გამოდის.

გაზეთი „დროება“ გამოვა მუდამ დღე, ორშაბათსა და უქმეების შემდეგ დღეებს გარდა, საშუალის თაბახით. გაზეთში იბეჭდება ტელეგრამმები (პირველ დღესვე) და სახაზინო განცხადებანი (ინტენდანტსტვოსი, პრიკაზისა და სხვ.)

ჟურნალი „ივერია“ გამოდის სამს თვეში ერთხელ სივრცით თორმეტი დიდი თაბახი.

ხელის-მოწერა მიიღება მხოლოთ რედაქციაში: ერევნის მეიდანზე, შუაბაზრის თავში, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება: ***Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.***

	წელიწ.	6 თვე	3 თვე.
ფასი „დროება“ და „ივერია“ ერთად	13 მ.	7 მ.	4 მ.
ცალკე: „დროება“	9 „	5 „	3 „
ცალკე: „ივერია“	6 „	4 „	2 „

ცალკე ნომერი „დროებისა“ —5 კაპ.
ცალკე ნომერი „ივერიისა“ —2 მან.

სხვა ვადებით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხვედრი ფასი ჟურნალ-გაზეთისა ხელის-მომწერმა დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

კორრესპონდენტი და საზოგადოება

ტფილისი, 15 თებერვალს.

სხვა ქვეყნებში, სადაც კი ბეჭდვის სიტყვის, ჟურნალ-გაზეთებისა და საზოგადოთ ლიტერატურის დიდი მნიშვნელობა ცოტათი მაინც ესმისთ, რაც უნდა უბრალო გაზეთის კორრესპონდენტი და თანამშრომელი იყოს, თავს ევლებიან, ხელზე ატარებენ, ეფუფუნებიან და ყოველ ღონისძიებასა და საშუალებას აძლევენ, რომ ყველაფერი გააცნონ იმას, ყველაფერი შეატყობინონ, ყველაგვარი ნამდვილი ცნობები მისცენ.

რატომ არის ესე?

იმიტომ რომ იქ, განათლებულ საზოგადოებას კარგათ ესმის—თუ რა დიდი ძალა და ღონე არის ახლანდელ დროში ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები; იქ ესმისთ, რომ ჩუმად, დამალულად; ოთხ-კედელშუა არაფერი საქმე არ გარიგდება; იქ ესმისთ, რომ ყოველი საქმე მხოლოდ მაშინ შესრულდება, მხოლოდ მაშინ დაბრუნდება წალმართად, როცა საზოგადოება, მთელი ქვეყანა გაიცნობს იმას, როცა ის ყველასთვის გამოაშკარებულია და ყველასაგან გაცნობილი; იქ ესმისთ, რომ მხოლოდ ბოროტ საქმეს უნდა ეშინოდეს სინათლისა, გამოაშკარებისა და გაქვეყნიერებისა; რომ კეთილი რამე საზოგადო სასარგებლო რამ გამოაშკარებით, ერთი-ორად იმატებს ძალასა და სისრულეში მოყვანის საშუალებასა.

ყველა ეს ესმისთ იქ და, ვიმეორებ, ამიტომ არის, რომ მწერალს, კორრესპონდენტს ესეთი პატივი და ყურადღება აქვს საზოგადოებისაგან.

ჩვენში?

როგორც თითქმის სხვა ყველაფერში, ამაშიაც უკან ჩამოვრჩით ჩვენ სხვა ქვეყნებს. უცხო ქვეყანაში რომ გაზეთის კორრეპონდენტი თამამად, დაუბრკოლებლად დადის ყველგან, ჩვენებური კორრესპონდენტი იძულებულია პსევდონიმის პირ-ბადე ჩამოიფაროს, დაიმალოს; უცხო ქვეყანაში რომ იმას საზოგადოებისაგან პატივი აქვს, ჩვენში ერთი-ორი სტრიქონის გაზეთში დაწერისათვის საზოგადოების მხრით მხოლოდ ლანძღვა-გინება, წყევლა-კრულვა, შეურაცყოფა მოელის. უცხო ქვეყანაში რომ ყველა კარები ღიაა კორრესპონდენტისათვის, იქ რომ ყველა უწყება, დაწესებულება და კერძო პირი მზათ არის, რომ ყოველგვარი ცნობები მიაწოდინოს იმას, აქ, ჩვენში ყველა ერიდება, ყველა კარებს უხშავს, ხელის-მოწყობის მაგიერად ყველა გზას უხლართავს. როცა რომელიმე ქალაქიდამ ან სოფლიდამ თუნდაც უბრალო და უვნებელი კორრესპონდენცია მოგვივა, პირველი თხოვნა კორრესპონდენტისა, უეჭველად, ის არის, რომ „არ გამცეთო, ჩემი სახელი და გვარი არც დაბეჭდოთ, არც არავის უთხრათო.“

რამდენი მაგალითი ვიცით, რომ ჩვენის და სხვა ადგილობრივ გაზეთების კორრესპონდენტებისათვის შეურაცხყოფა მიუყენებიათ მხოლოთ იმისთვის, რომ ან ადმინისტრაციის ან საზოგადოების რომელსამე ნაკლულევანებაზედ დაუწერია გაზეთში ორიოდე სიტყვა? რამდენი, ამავე მიზეზით, სამსახურიდამაც დაუთხოვნიათ? რამდენისათვის სხვა რამ უსიამოვნება მიუყენებიათ?

ყველას ეხსომება ჩვენი ნუხელი კორრესპონდენტის მასწავლებლის ბექანოვის ბედი, რომელიც, როგორც იმის კორრესპონდენციის წერისათვის მოჰკლესო და სხვ.

როცა უმეცარი, გაუნათლებელი, თავის კერძო სარგებლობის მეძიებელი ხალხი სჩადის ამისთანა საქმეს, როცა ისეთი პირი სდევნის კორრესპონდენტს, რომელსაც არ ესმის ბეჭდვითი სიტყვის მნიშვნელობა, მნიშვნელობა თავისუფლად გამოთქმულ აზრსა,—ეს კიდევ არაფერი, ამას კიდევ წარმოიდგენს კაცი, იმას კიდევ ეპატიება.

მაგრამ რა უნდა ვსთქვათ იმაზე, ვისაც სწავლა - განათლება მიუღიათ, ვისაც ესმის—რა მნიშვნელობა აქვს გაზეთის სიტყვას, ვინც იცის, რომ ბეჭდვით, თუ არა გაკეთდება-რა, წახდენა კეთილი საქმისა შეუძლებელია, რა უნდა ვსთქვათ იმათზედ, ვისაც ეს ესმის და მაინც სდევნის მწერალს, კორრესპონდენტს.

ფელეტონი

ქართული წარმოდგენა

(ოთხშაბათს, 13 თებერვალს*)

ბენეფისი კ. ყიფიანისა: „ოჯახის ასული,“ დრამა სამს მოქმედებათ გ. წერეთლისა და „ბრაზიანი ამერიკელი“ ერთ-მოქმედებიანი გადმოთარგმნილი ფარსი:

(დასასრული)

ასე დაწერილებით ნაამბობს შინაარს რომ წაიკითხავს მკითხველი, განცვიფრებული იკითხავს; ეგ ყველა კარგი, მაგრამ დრამა სად არისო?

უნდა გაგიტყდეთ, რომ როგორც კი შევიძელ დრამატიულათ გარდმოვეცი ბატონი გ. წერეთლის დრამის შინაარსი და თუ მაინც კითხულობთ: სად არის დრამაო ჩემი ბრალი არ არის. ეგ კითხვა მაყურებლებს კიდევ უფრო ხშირათ მოსდიოდათ თავში, ვიდრე წამკითხველებს მოგდით.

მასალა დრამისთვის ამ პიესაში არის და ამ მასალით შეიძლებოდა მართლა რიგიანის დრამის დაწერა, მაგრამ დამწერმა სხვა პირები უნდა გამოიყვანოს სცენაზედ, მათი ხასიათი ბოლომდის უნდა ერთგვარი იყოს და თუ თავში ბოროტია ბოლომდის ბოროტათ უნდა დარჩეს და უეცრათ, უმიზეზოთ ანგელოზის ხასიათი არ უნდა გამოიჩინოს.

რასაკვირველია, სამწუხაროა გამოსთქვას, რომ იმისი შვილი ხაზინის გატეხისთვის ციხეში დაიჭირონ, მაგრამ, სწორე მოგახსენოთ, ძნელათ მოსაფიქრებელია, რომ ქრთამის აღებისთვის სამსახურიდამ გამოგდებულს ჩინოვნიკს ხაზინიდამ ფულის აღება დიდს მომაკვდინებელს ცოდვათ მიაჩნდეს.

დომენტი იმას კი არა სჩიოდა, რომ გრიგოლ დაიჭირეს; ის სულ იმასა სწუწუნებდა, რომ ამ დღესაც მოვესწარ, ჩემმა შვილმა ხაზინა გასტეხაო.

იმისი ქალი ეფემია, რაკი ხედავს, რომ გრიგოლ იმას მზითევს ველარ მისცემს, სვავათ უხდება თავის დედ-მამას და ეუბნება თავში ქვა იეცით, მაგრამ გამისტუმრეთ კიო. ცეცხლმოდებულს დედ-მამას ცეცხლზედ კიდევ ნალვერდალს უმატებს და თან ამბობს, გრიგოლ კაცათ როგორ ჩავაგდო, ის ხაზინის გამტეხიაო.

როგორ მოგწონთ ხაზინის გატეხისთვის მწუხარება, სახელმწიფო ინტერესებზედ ზრუნვა შინ გაზდილი ქალისაგან, რომელსაც თავის ცხოვრების დრამაზედ დაუწერია, ჯერ თავო და თავო და მერე დედ-მამაო.

მოხუცებულ დომენტისთან შემოდის გრიგოლ, უკან სალდათი მოსდევს. დომენტი ჯერ ჰკითხავს გრიგოლს, როგორ შემირცხვინე ჭაღარა თმა, როგორ გაბედე ხაზინის გატეხაო და მერე უცებ ეუბნება, ადექ შვილო, უკანასკნელს პერანგს გავიხდი, მაგრამ შენ კი დაგიხსნიო. რამ მოჰგვარა ესე უეცრათ დომენტის ზეციური აზრი მიტევებისა და უწინდელის ცოდვების დავიწყებისა?

შვილის სიყვარულმა, მომიგებს მკითხველი. თანხმა ვარ, შვილის სიყვარული ისეთი საზოგადო გრძნობაა, რომ მას შეეძლო ყოველივე ცოდვა დაევიწყებინა მამისთვის, მაგრამ რატომ არ მოგვარა გ. წერეთლის დრამაში ამ სცენამ მაყურებლებს ტანში ჟრუანტელი? რატომ არ შეკრთა მთელი თეატრი, როდესაც გრიგოლ შემოვიდა გამოსასალმებლათ ციხეში წასვლის წინეთ და უკან სალდათი მისდევდა, არსად გაიპაროსო?

იმიტომ რომ დომენტიმ გრიგოლ დაინახა თუ არა, ქადაგება დაიწყო და მხოლოთ ქადაგების გათავების შემდეგ უთხრა, შვილო, მიპატიებიაო.

წარმოიდგინეთ, რომ ამის მაგიერათ დომენტის დაეწყო გრიგოლის კოცნა, ვიდრე იმას ვერა ხედავდა და დაინახავდა თუ არა თავის შვილს ციხეში წასასვლელლათ განმზადებულს, მოტევების სათხოვნელათ მოსულს, გადაჰხვეოდა და თვალ-ცრემლიანს ძლივს გამოსარკვევი ლუღლუღით

---

*) „დროება“ № 36.

ყველა ეს აზრები მოგვივიდა ჩვენ იმ შემთხვევის გამო, რომელიც ამ დღეებში მოხდა ქუთაისში.

მკითხველმა იცის ამ საქმის გარემოება:

ამ უკანასკნელს დროს ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა რამდენიმე კორრესპონდენცია ქუთაისიდამ, რომელშიაც, სხვათა შორის, მოხსენებული იყო, რომ იქაური საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი ერთობ ზარმაცობსო, ყურადღებას არ აქცევს ამ ბანკის საქმეებსაო, არ იკრიბებაო და საზოგადოთ ამ ბანკის საქმე რიგიანად ვერ მიდისო. მეტი არაფერი....

ხსენებულ ბანკის გამგეობასა და ზედამხედველ კომიტეტს ეს სიტყვები არ მოსწონებიათ, იმ წამსვე საერთო სხდომა დაუნიშნავთ, მოუხმიათ ერთი დამფასებელთაგანი თ. პეტრე წულუკიძე, რომელზედაც ეჭვი აუღიათ, რომ ეს კორრესპონდენციები იმის დაწერილი უნდა იყოსო, ჩამოურთმევიათ იმისთვის ჩვენება; გამოძიება მოუხდენიათ და, თუმცა ნამდვილი ვერა შეუტყვიათ-რა, მაგრამ ეს დამფასებელი მაინც დაუთხოვნიათ სამსახურიდამ.

როგორ მოგწონთ ამ გვარი მოქმედება, იმ პირებისაგან, რომელნიც მუდამ იმას გაიძახიან, რომ ჩვენს მოქმედებაში, ჩვენს ბანკში დამალული, საიდუმლო არა არის-რაო, ვისაც ნებავს, მობძანდეს, გაჩხრიკოს ყველა ჩვენი ქაღალდები, მთელი ჩვენი ბანკი, ჩვენი მოქმედება და შეიტყოს, გამოაცხადოსო? როგორ მოგწონთ ამ გვარი მოქმედება იმ პირებისაგან, რომელნიც იმერეთში საუკეთესო განათლებულ და დაწინაურებულ პირებათ ითვლებიან?

ამისთანა კაცებმა უნდა აწარმოვონ საზოგადო საქმე? ამათ უნდა დასდონ განსაკუთრებული მალამო ჩვენს საზოგადოების სენსა?

რას უნდა მოველოდეთ იმ გვარ, საზოგადოების მოწინავე პირთაგან, რომელთა ის უბრალო ჭეშმარიტება ვერ გაუგიათ, რომ ამისთანა მოქმედებით ისინი უფრო უარესად წაიხდენენ სახელს საზოგადოების თვალში, რომელნიც ვერ მიმხვდარან, რომ ყველა ასე იფიქრებს: „ალბათ იმათ სინიდისი მართალი და წმინდა არა აქვთ, თუ საქვეყნოთ თავიანთ მოქმედების გამოაშკარავების ეშინიანთ?“

რას უნდა მოელოდეს საზოგადოება იმისთანა პირებისაგან, რომელთაც თავიანთი წვრიმალი თავ-მოყვარეობა ვერ დაუვიწყნიათ, ვერ შეუწირავთ საზოგადო სარგებლობისათვის და ყალღზე დგებიან, როცა იმათზე ვინმე რასმეს თქმას გაბედავს?

რას უნდა მოველოდეთ ისეთის განათლებულებისაგან, რომელნიც ცდილობენ, რომ ყველას პირში ბურთი ჩასჩარონ, ხმა ჩააკმენდინონ?

რა უნდა ვსთქვათ იმ პირებზე რომელთაც ვერ გაუგიათ, რომ, თუნდაც შეცდომილი ცნობები ყოფილიყო კორრესპონდენტისაგან გაზეთში დაბეჭდილი, ამ შეცდომილებათა გასწორება ძალდატანებით, ერთის პირის სამსახურიდამ გამოგდებით კი არ გასწორდება, არამედ მხოლოთ ბეჭდვისავე საშუალებით, ფაქტებით, თავიანთ მოვალეობით სინიდიანად შესრულებით......

ახალი ამბები

ჩვენ შევიტყეთ, რომ სვანეთში, სოფელს ბეჩოში გარდაცვლილა ადგილობრივ კამანდის ექიმი, გვარად რეიხი, 60 წლისა, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში ძალიან ღარიბულად და ძუნწად ცხოვრებდა და ამით მოუგროვებია 24,000 მანეთი. მიცვალებულის ანდერძით, ეს ფული ასე არის განაწილებული:

12,000 მანეთი უნდა გაიგზავნოს პეტერბურღის მედიცინის აკადემიაში ღარიბ სტუდენტების სასარგებლოდ, 4,000 მანეთი სახალხო შკოლის გასამართავად სვანეთში, 2,000 მან. სოფ. ბეჩოში მმართლ-მადიდებელ ეკკლესიის ასაგებად და 6,000 მანეთი თფილისში და პეტერბურღში პროტესტანტის (ლოტრანგის) ეკკლესიების ასაგებათა.

* * *

თფილისის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილებით, ახლად-გაკოტრებული ძმები ჯანჯულაზოვები დატუსაღებული არიან.

* * *

როგორც თან-და-თან ჩნდება და როგორც ამას წინათ ჩვენს გაზეთშიაც იყო მოხსენებული, ჯანჯულაზოვების გაკოტრება ყველაზე უფრო დააწვება კისერზე ღარიბებსა და წვრილ ვაჭრებს. აქაურ გაზეთებში დაბეჭდილია კომერციულ ბანკისა და ურთ-ერთ ნდობის ბანკისაგან მიღებული ცნობები, რომლიდამაც სჩანს, რომ ამ ორ ბანკს ჯანჯულაზოვების გაკოტრებით, თითქმის არავითარი ზარალი არ ეძლევათ, რადგან იმათ ვექსილებზე ისეთ პირებს (თავდებებს) ჰქონიათ, ხელი მოწერილი, რომელთაგან ამ ბანკებს ადვილად შეუძლიანთ თავიანთ ფულის ამოგება. მეორეს მხრით, წვრილი ვაჭრები და ღარიბი კი უბრალო ვექსილით ან ხელ-წერილით აძლევდნენ ამათ სესხად ფულს, ენდობოდნენ, რადგან დიდი მაღაზიები და ვაჭრობა ჰქონდათ და ამას გარდა დიდ სარგებელსაც იღებდნენ ამათგან. ჩვენ გვითხრეს, რომ ჯანჯულაზოვის მაღაზიის გვერდით რომ მკერვალი ქალების მაღაზია იყო, ეს მაღაზია თითქმის მთელ თავის დახლს ჯანჯულაზოვებს აძლევდა მუდამ დღეო შესანახავად და სასარგებლოთაო.

ყველა ამათ, რაღა თქმა უნდა, თითქმის სულ დაეკარგებათ ვინ იცის თავიანთი უკანასკნელი გროში და ზოგს ცხოვრების ღონის-ძიებაც მოესპობათ...

* * *

სოფ. კასპიდამ გვწერენ, რომ იმ ყარაულებისაგან, რომელიც თ. თ. ამილახვრიანთ დაუყენებიათ თავიანთ ტყეების დასაცველად, ხალხი ერთობ შეწუხებული არისო, უბრალო ფიჩხიც ველარ გამოუტანიათ ტყიდამ გლეხებს; ზოგიერთი აზნაურებსაც კი თავის საკუთარ ტყეში აღარ უშვებენო.

ამას გარდა ეს ტყის მცველები, რომელთ რიცხვი თითქმის ოთხმოცამდინ არის, თვითონ კასპში ჩამოდიან, ღამე ეცემიან თავს ხან ერთს, ხან მეორეს და ისე კვირე არ გავაო, რომ სამი-ოთხი კაცი არ გაცარცვონო.

რამდენჯერმე უჩივლია ხალხს ამ ამილახვრიანთ ტყის მცველებისაგან შეწუხებაზედ, მაგრამ არც ადგილობრივ ადმინისტრაციას და არც მიროვოი პოსრედნიკს არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ.

* * *

ქუთაისიდამ გვატყობინებენ, რომ იქაურს ახლად გათავებულს ბატ. ხარაზოვის თეატრში პირველად ამ კვირას იქნება გამართული მასკარადიო. შემდეგ 21-ს ამ თვეს დანიშნულია ამავე თეატრში პირველი ქართული წარმოდგენა.

იქაურ ქართულ ტრუპპის შესახებ გვატყობინებენ, რომ ეს ტრუპპა სრულიად შემდგარიაო და იმას ცოტა ცვლილებით, მიუღია ისვე წესდება, რომლითაც ხელთ-მძღვანელობს ჩვენი ქალაქის ქართული ტრუპპა.

ეპატიებინა თავის შვილისთვის იმის შეცოდება.

აი მაშინ იქნებოდა გამოსახული ნამდვილი მამობრივი გრძნობა. მხოლოთ ამისთანა სცენა მოულბობდა გულს გრძნობა-გაქვავებულის ეფემიას. ამისთანა სცენა ბევრს ნაკლულევანებას დაჰფარავდა გ. წერეთლის დრამაში.

თუმცა ავტორს უმთავრესი თავის სურვილი ვერ შეუსრულებია, თუმცა დრამა ვერ დაუწერია, მაგრამ ზოგიერთი ისეთი პირი გამოიყვანა სცენაზედ, რომელნიც სწორეთ შესანიშნავი არიან. ეს არის თითონ ტრაბახა ზრიგოლ, რომლის როლიც რიგიანათ ითამაშა კ. მესხმა ცოტა აფიცრის მუნდირს რომ არ დაეშალა, მეტადრე კარგათა სთქვა სცენა პლევნის აღებაზედ. ეს სცენა ისეთი ჩინებულია რომ მესხს შეეძლო სრულებით ცალკე ეთქვა, როგორც სხვა სცენებს ამბობს.

პიესას თავისი ზნეობითი მხარეცა აქვს: ამ პიესის აზრი დიდი ხანია ჩვენს ხალხს ანდაზათა აქვს მიღებული. „ავი შვილი, (ანუ ავათ გაზდილი შვილი) დედმამის მაგინებელიაო.“ მაგრამ ეს აზრი სრულებით არ არის გამორკვეული. ავტორს მოუნდომნია ამ კარგის აზრის გამოხატვა მაგრამ წელი ვერ მიჰყოლია. ზოგიერთი ისეთი სცენები ჩაურთავს პიესაში, რომელნიც, იქნება იმის ფიქრით კი შეველოდენ მისის უმთავრესის აზრის გამოხატვას, მაგრამ, მგონია, სრულებით არას დაჰკარგავდა პიესა, რომ ავტორს ისინი გამოეკლო. რასა შველის პიესას, რომ ვიღაცა რუსი ეარშიყება გოგოს და „ტირის ბარბარე სერენოდას უმღერის ფანჯარასთან. ან რა საჭიროა, რომ ფარდა აიხდება თუ არა ორს დას ერთმანერთში ჩხუბი მოსდის? იქნება ეს ჩხუბი სცენათ გამოდგებოდეს, მაგრამ პიესისთვის კი არაფერი მნიშვნელობა არა აქვსრა. მთელი პიესის სცენები ერთმანერთთან უგნოთ არიან გადაკერებულნი და ერთის სიტყვით გვითხარი, პიესა როგორი იყო, მე გიპასუხებთ, უმი პიესა იყო მეთქი.

ბატონ-ყმობის დროინდელმა გამდელებმა იცოდნენ ნაჭრების საბნის შეკერვა. მოაგროვებდნენ, სადაც რა ნაჭერს ნახავდნენ, დასჭრიდნენ თანასწორ ნაკუწებათ და შეჰკერავდნენ ერთიანს საბანს. ამ საბანში ფარჩის ნაჭრებიც იყო, ატლასისაც და უბრალო სამშაურიანი ჩითისაც. ხამი სოფლელი გოგოსთვის რომ მიგეტანათ ეს საბანი, იმაზედ უკეთესს ვერას დაანახვებდით, მაგრამ ვისაც კი ხამი გოგოს გემო არა აქვს, არაფრათ იამება იმ აჭრელებული საბნის დანახვა. სწორეთ იმასავე ვგრძნობდი ბ. გ. წერეთლის პიესის წარმოდგენის დროს, რასაც მაგ. ევროპიელი ნაჭრების საბნის ნახვის დროს იგრძნობს.

როგორც თვითონ სათაურიდამვე სჩანს ამ პიესაში უმთავრესი როლი უნდა ჰქონდეს „ოჯახის ასულს“ ე. ი. ეფემიას. დიახ სათაურიდამ კი ასე სჩანს, მაგრამ პიესიდამ ასე სჩანს თუ არა, მაგისი რა მოგახსენოთ. მართლა და რა არის ეს ოჯახის ასული? ეს არის ახალ-გაზდა, თავ-გასული ქალი, რომელმაც შებრალება არ იცის რა არის და რომელსაც ფული ღმერთათ გაუხდია. საიდამ გამოსძებნა გ. წერეთელმა ეს ტიპი, არ ვიც და თუ სადმე ჩვენს ცხოვრებაში იპოვება ამისთანა ხასიათის ქალი, იმი ხასიათის გამფუჭებელი მიზეზები ის განსხვავებულნი უნდა იყვნენ, რომ მათი სცენაზედ გამოაშკარავება საჭიროა. შიმათოთ ეფემია ავი ტინგიცაა რომელსაც პიესის ბოლოს ხან ერთ მიეარდება და ხან მეორე, გადი, აქედან დაიკარგეო.

საფაროვის ქალს, რომელიც ეფემიას როლსა თამაშობდა, ერთი დიდ შეცდომილება მოუვიდა. იმისი დედ მწუხარებით მიწასთან გასწორებულია და ის იმ დროს კიდევ უარესა გულს უშფოთებს მზითვის თხოვნით ამ სცენას მაყურებლებში ზიზღი უნდა აღეძრა და ზიზღის მაგივრათ ხალხში ხარხარი მოისმოდა. საფაროვის ქალმა პატარა დრამატიული სც ნა ვოდევილათ გარდააკეთა. მაგრა ეს მარტო აქტრისის ბრალი არ არი

პირველ წარმოდგენისათვის ქუთაისის ტრუპპა ამზადებს თ. გ. ერისთვის კომედიას „მზის დაბნელებას“ და ვოდევილს „ყვავი ფარშევანგის ფრთებით.“

ვინატრით, რომ ქუთაისის ქართულ სცენას დღეგრძელობა არ მოჰკლებოდეს და კარგათ შეესრულებინოს ის საზოგადო მოვალეობა, რომელიც იმას უკისრნია. საქმე ერთგულება და სიბეჯითეა, თორემ ნიჭიერი მოთამაშეები იმერეთის თეატრს არასოდეს არ დააკლდება.

ვინატრით აგრეთვე, რომ ქუთაისის საზოგადოებას თანაგრძნობა არ მოეკლოს თავის სამშობლო თეატრისათვის...

⁂

კავკასიის მთებიდამ იწერებიან, რომ ამ თვის 14-დამ იქითკენ დიდი თოვლი მოსულა და სტანციებს შუა ამის გამო გზა შეკრული არისო. მუშები ადგანან გზებზე და თოვლს სწმენდენო.

„დროების“ კორრესპონდენციები

ბათუმი, 28 იანვარს. შეფარდებით სხვა დღეებისა, უნდა მოგახსენოთ, რომ დღევანდელი დღე—„თუ შეიძლება ასე თქმა“—სადღესასწაულო დღეებთა რიცხვში უნდა ჩაითვალოს: დღეს ყოვლად მოულოდნელად ვკითხულობთ შემდეგ რუსულ განცხადებას ბათუმის ყველა ქუჩების თავზე მიკრულს, ვიღაც ბატონ მიხაილოვისაგან:

„კავკასიის სწავლა-განათლების ნება-რთვით, აქ, ბათუმში, იხსნება კერძო სასწავლებელი, რომელშიაც ყმაწვილები საშუალ სასწავლებლებში შესასვლელად მოემზადებიან.

„სასურველია, რომ ყველა მშობლებმა, რომელთაც ჰსურსთ თავის შვილების მიბარება ამ სასწავლებელში, ერთ დროს მიაბარონ, რადგან სხვა-და-სხვა დროს შკოლაში შეყვანა სწავლის საქმეს აბრკოლებს.

„უმორჩილესად ვსთხოვ მშობლებს თებერვლის პირველს, დილის 9 საათზე მობრძანდნენ შკოლაში თავიანთის შვილებით.

„სასწავლებელი იხსნება მხოლოდ 30 ვაჟისათვის; იმყოფება ხაზინის პირ-და-პირ კაპაიანოვის სახლში.

„სწავლის ფასი თვეში 5 მანეთია, სამისთვის ამ წინათვე უნდა შემოიტანონ.

„სწავლის პროგრამმის ნახვა შეიძლება სასწავლებელში.“

მასწავლებელი ა. მიხაილოვი.

ამ განცხადებისა და ჩემი ამ წერილის წინასიტყვაობის წაკითხვის შემდეგ მკითხველს უნებურათ ცხვირს ქვეშ გაეცინება... მაგრამ ჩვენ იმას არ დავსდევთ: ჩვენ გავბედავთ ყოველ ნაირი სიხარულისა და მადლობის გამოთქმას ბატ. მიხაილოვისადმი, რადგანაც მხოლოდ ამ მიხაილოვმა ყველას მოვალეობას დაასწრო და დაინახა ბათუმის ერთი უმთავრესთაგანი **საჭიროება** და ორი წლის აქეთია ყველასაგან სტოლ-ქვეშ ამოდებული და ჩინოვნიკურ-ფორმალისტურათ დაწყობილი საქმე ფეხზე დააყენა.

თუ ბატ. მიხაილოვის ჯერ-ჯერობით გახსნილი სასწავლებელი ახალ შემოერთებულ **საქართველოს** სწავლის მხრით მოთხოვნილ საჭიროებას სრულებით ვერ ეთანხმება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში დიდი მადლობის და თანაგრძნობის ღირსია.

„ვერ ეთანხმება იმისათვის“, იმისათვის მოგახსენებთ, რომ იქ იქნება მარტო რუსულ ენაზედ სწავლა; მეორე იმისათვის, რომ ოც-და-ათი ყმაწვილისათვის ადგილი ერთობ ცოტაა და მესამე იმისათვის, რომ ამისთანა ადგილს და ამისთანა სასწავლებლისათვის თვეში **ხუთი** მანეთი ერთობ ბევრია...

ჩვენდა სამწუხაროთ, უნდა გამოვსთქვათ, რომ, რამოდენათაც ბატ. მიხაილოვის სასწავლებელის მატერიალური მხარე გაგვაცნეს, იმედი არ უნდა ვიქონიოთ, რომ იმის სასწავლებელს დღეგრძელობა მოელოდეს და დიდი დღის იყოს.

მაშ საჭიროა, რომ ჩვენმა ბათუმის იმ კეთილ-მომქმედ კომიტეტმა (?) (რომლის მიზანი, როგორც სჩანს თავის გამოჩენა ყოფილა, და რომელიც ეხლა გაზეთებში ანგარიშის მოთხოვნის დროს, თავის არსებობაზე თურმე უარს აცხადებს...) ენერგიით დაეხმაროს და საზოგადოებამაც მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადოს, რადგანაც ამით შეიძლება შემდეგისათვის სულ სხვა სახე მიიღოს ამ გაზაფხულის პირველმა ყვავილმა; უნდა დაეხმარონ ყველამ გარედან უფრო იმისათვის, რომ, რამდენაც ვიცით, ამისთანა ხალხში როდესაც პირველათა ხსნიან სასწავლებლებს, პირიქით მოსწავლეებს აძლევენ ფულს, რომ სწავლის გემოვნების გასაცნობლად ფულის მიცემით მიიტყუონ ისინი, და არ დაუწყებენ მოსწავლის ცარიელ თავს და ჰლერქიან ჯიბეს შებღავლას...

საჭიროა ჩვენმა მთავრობამაც ყოველნაირათ დაეხმაროს და თავის მფარველობის ქვეშ მიიღოს, ან საქართველოში „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამაც“ თავისი მოწყალე თვალით ერთი ჩვენი ახალი შემოერთებულ ადგილებზე გადმოხედვაც ინებოს.

თუ ბატ. მიხაილოვის გახსნილი სასწავლებელი იქმნება იმისთანა კაცებისათვის, რომლებიც არა თუ აქ, სამზღვარ გარეთაც შეუძლიანთ გაგზავნონ შვილები,—მაშინაც კი საყურადღებოა და სასარგებლოა იმისი სასწავლებლის კეთილ-დღეობა. რადგანაც ცნობის ფურცლების შედგენის დროს, გვექნება საფუძველი, სიამაყით ჩავწეროთ იმაში, რომ ახალ აღებულ ადგილებისაგან პირველ ქალაქ ბათუმში ორი წლის განმავალობაში დიდის ამბით ერთი მოსამზადებელი კერძო შკოლა და ისიც ოც-და-ათი ყმაწვილისათვის გაგვიხსნია.

კრაზანა.

უცხოეთი

წვრილი ამბები. „ჰავასის სააგენტოში“ იწერებიან სტამბოლიდამ 2 თებერვალს, რომ კომმისიამ, რომელშიაც **სავას-ფაშა** იმყოფებოდა გადაწყვიტა, გუსინიის და პლავის მაგივრად ჩერნოგორიისათვის მიეცათ სხვა მიწები. ამბობენ, რომ ჩერნოგორიის მთავარი ამ გარდაწყვეტილების უთანხმოებას აცხადებსო.

სტამბოლიდამ ინგლისურ გაზეთებში იწერებიან, რომ ამას წინათ სტამბოლის სალდათებმა ყაზარმაში მოიპატიჟეს ამხანაგები და ამ დროს სამ-ეტაჟიანი ყაზარმა დაიქცა და რამდენიმე სალდათი დაიღუპა.

ამ შემთხვევამ ძალიან აალელვა ხალხი. ოსმან-ფაშას აბრალებენ, რომ იმან ის ფულები, რომელიც ყაზარმის გადასაკეთებლად იყო დანიშნული, სხვაზე დახარჯა. ამის გამო სულთანმა დაყიშნა გამოსაძიებლად კომისია.

ვენის გაზეთში დაბეჭდილია, რომ აქ გავრცელდა ხმაო, ვითომც ახალ ბაზარის ფაშალიყში, რომელიც ავსტრიის ჯარებს უჭირავს, მოხდა არეულობა. ამის გამო ავსტრიის მთავრობამ გაგზავნა სამზღვარზე ექვსი

აქტორი ისეთს სიტყვებს ამთქმევინებდა ამ სცენის დროს მაგ. „როგორ მოიკატუნა თავიო“ რომ საზოგადოებას არ შეუძლიან არ გაიცინოს. მეტადრე ჩვენს საზოგადოებას, რომლის მომეტებულს ნაწილს ასე ჰგონია, რომ რაკი ფულს ვაძლევ, უეჭველათ უნდა ვისიამოვნო, უნდა ვიცინო, თუნდა სცენაზედ სამწუხარო ამბებიცა ხდებოდეს.

გაბუნიას ქალი ჩვეულებრივ კარგათ თამაშობდა ხნიერი ქალის როლს, თუმცა მაინც თამარის უფერული როლი გაბუნიას ქალს ისევ უფერულათ დარჩა. ერთი შეცდომა მოუვიდა, რომელმაც ბევრს მაყურებელს ყურებში თითი დააცობინა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც დაიწყო ჩივილი და ტირილი გრიგოლის უბედურს შემთხვევაზედ. კილო ლაპარაკისა პირველში ძალიან კარგათ მოუვიდა, მაგრამ აქაო და კარგათ მომივიდაო, მიჰყვა და ბოლომდის აღარ გამოუცვლია: გაბუნიას ქალი ვერ მიხვდა, რომ, როდესაც ადამიანი წუწუნებს მაშინ სხვა კილო უნდა ჰქონდეს და როდესაც სწყევლის ვისმე, კილო უნდა შესცვალოს, უნდა პატარა მოუჩქაროს.

ვ. აბაშიძეს მეტის-მეტად უმართლო როლი ჰქონდა და ვერც შეეძლო რომ ამ როლში თავისი ნიჭი გამოეჩინა.

გულ-კეთილისა, ჭირში და ლხინში ულელის გამწევის თავადიშვილის როლი ჰქონდა ზ. მაჩაბელს და რიგიანათაც აასრულა. ცოტა ლაპარაკის კილო რომ გაისწოროს ამ აქტიორმა, იმედია, შემდეგში ძალიან კარგათ შეასრულებს თავადიშვილების როლს.

თვითონ ბენეფიციანტზედ რაღა უნდა ვთქვა. საბოლავოთ გადავდე მაზედ ლაპარაკი, რადგან მეძნელებოდა, მაგრამ აი ეს ბოლოც მოვიდა და მეტი ღონე არ არის, უნდა იმაზედაცა ვსთქვა ორიოდე სიტყვა. მეძნელებოდა იმაზედ ლაპარაკი არა იმიტომ რომ ცუდათ ითამაშა, მეძნელებოდა იმიტომ, რომ ჯერ ერთი უვარგისი როლი ასე კარგათ ნათამაშები არ მინახავს. რა არის მართლა ეს დომენტი? სამსახურიდგან გამოგდებული ძველი ჩინოვნიკი, რომელიც ავტორს თავის გმირათ გაუხდია და რომელსაც თავის საყვარელს აზრებს თუთიყუშსავით ალაპარაკებს. ძველი ჩინოვნიკი გვიქადაგებს თავის მარჯვენათი ცხოვრებას, პატიოსნებას, გვიქადაგებს კიდევ რაღაც-რაღაცაებს, რომელსაც არც საზოგადოება უგდებს ყურსა, არც მოლაპარაკე და, ღმერთო შეგცოდე! მგონია არც თითონ ავტორი.

ერთს პატარა შენიშვნას მივცემთ რეჟისორს დომენტის თაობაზედ, დომენტის უფრო ლირის შეხედულება ჰქონდა, ვიდრე ძველი მოქრთამე ჩინოვნიკისა. მართალია დომენტისაც ლირსავით სამი ქალი ჰყავს, სამი სიძე, შვილები ერთსაცა და მეორესაც სიცოცხლის უკანასკნელს დროს წუთის სოფელს უმწარებენ, მაგრამ მაინც ინგლისის ბებერი მეფე და იმერული ჩინოვნიკი შორი-შორს არიან.

რა მიზეზია, რომ ესეთის ნაკლოულევანებით სავსე პიესა საზოგადოებამ ისე კარგათ მიიღო და ავტორიც ორჯელ გამოიხმო? მიზეზი ის არის, რომ ჯერ ჩვენს სცენაზე ასე კარგათ გამართული წარმოდგენა არავის არ უნახავს და მგონია, გამოხმობის ღირსი უფრო რეჟისორი იყო, ვიდრე ავტორი.

„ბრაზიანს ამერიკელზედ“ არაფერს ვიტყვი, რადგანაც ესპიესა მხოლოდ სასაცილოდ არის დაწერილი ხალხმაც ბევრი იცინა.

ეს წარმოდგენა საზოგადოებას ძალიან სასიამოვნოდ დარჩა, რადგან ანტრაქტებში მესხმა თავისის სცენებით და გაბუნიას ქალმა ხალხი გააცოცხლა.

საზოგადოებას ძალიან მოეწონა აგრეთვე ხოროსაგან თქმული სახალხო სიმღერები. ბენეფიციანტს საზოგადოებამ მშვენიერი ოქროს საათი მისცა საჩუქრათ.

მ.

ბატალიონი ჯარი და სარაევის ჯარსაც მოუვიდა ბრძანება, რომ მზათ იყოს ამ არეულობის დასამშვიდებლად.

—

სტამბოლიდამ სწერენ ვენის გაზეთებში, რომ ოსმალეთის შინაურ საქმეებში არაფერი ცვლილება არ მომხდარა-რაო. ამბობენ, რომ დიდი უკმაყოფილებაა მინისტრებ შორის. მაჰმუდ-ნედიმ-ფაშა ცდილობს შინაურ რეფორმებით დააკმაყოფილოს ევროპა. საიდ-ფაშა კი აქნობამდინ ძალიან წინააღმდეგი არის ამისი. ფინანსიური მდგ.,მარეობა კიდევ უფრო სუსტია ოსმალეთისა: ჩინოვნიკებს რამდენიმე თვეა არ მიუღიათ თავიანთი ჯამაგირი და ძალიან უკმაყოფილონი არიანო.

—

ლონდონიდამ იწერებიან ნემეცურ გაზეთებში: „ინგლისის და სპარსეთის შუა მოლაპარაკების გათავებას, რომ სპარსეთმა დიიჭიროს ჰერატი, ერთი პირობა აბრკოლებს: სპარსეთი სთხოვს ინგლისს, მისცეს პირობა, რომ რუსეთის მხრით არაფერი შიში იქნება. ინგლისი კი ამ გვარ პირობას ვერ აძლევს“.

◆

სამართალი

თფილისის ოლქის სასამართლოს სამიქნო (მექევრი) განყოფილებაში დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

21 თებერვალს

1) იმ დავების თაობაზედ, რომელიც ატყდა დუშეთის უეზდის ილთოზას ტყის გაყოფის დროს.

28) თებერვალს

იმ დავების თაობაზე, რომელიც ატყდა დუშეთის უეზდის წინ-დუშეთის ტყის გამიჯნის დროს.

თფილისის სამკურნალო

ავათმყოფებს მიიღებენ დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

ორშაბათს: ექიმი გავრონსკი—ქალის ავათმყოფობისა, ლისიცევი—შიგნეულების ავათმყოფობის, როტინიანცი—ქალისა და ყმაწვილების ავათმყ., ქიუხარიანცი—ხირურგიულ და თვალის ავათმყოფობ., ბაბაევი—ნერვების ავათმყ., და შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა.

სამშაბათს: ექ. მინკევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფ., ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფ., რეიხი—თვალისა, ბაბოვი—გულისა და შინაგანის ავათმყოფ., ბახუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილის ავათმყოფ., ვერმიშევი—შინაგანის ავათმყოფობის.

ოთხშაბათს: გავრონსკი—ქალის ავათმყოფ., ლისიცევი და რუდკოვსკი—შინაგანი ავათმყოფ., ასტვაცატუროვი—ქალის, შტემბორსკი—ვენერიულ და კანის, პომერანცოვი—გულის.

ხუთშაბათს: ჟურავლევი—ყელისა და გულის ტკივილის, როტინიანცი ქალისა და ყმაწვილის ავათმყო., ქიუხარიანცი — ვენერიულ და საშარდე ასოების ავათმყოფ., ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: გავრონსკი — ქალის ავათმყოფობის, მინკევიჩი — ხირურგიულის, ლისიცევი—შიგნეულის, ბახუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილების, ბაბოვი—ნერვების და შიგნეულების, ასტვაცატუროვი—ვენერიულ და კანის, შტემბორსკი — ვენერიულ და კანის ავათმყოფობისათვის.

შაბათს: ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა, რეიხი—თვალის ბაბოევი - გულისა და შიგნეულების და ვერმიშევი შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი ბაბაევი მუქთად სწამლობს ღარიბ ავათმყოფებს ოთხშაბათობით საღამოს 5 საათიდამ 9-დიმ (სერგიევის ქუჩა, ბაინდუროვის სახლი).

დოქტორი ჟურავლევი მიიღებს ღარიბ ავათმყოფებს მუდამ დღე საღამოს 6 საათიდამ 7-მდის სამკურნალოშივე.

კბილის ექიმი ობრესტი ავათმყოფებს, კისაც სამკურნალოდამ ქაღალდი ექნება, მუდამ დღე მიიიღებს თავის სახლში (გოლოვინის პროსპ., ზარაფოვის ეახლი).

მუდამ დღე,კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ 11-მდის სამკურნალოში არის ბებია ავათმყოფი ქალებისათვის.

განცხადებანი

—

რედაქციაში დარჩენილია რამდენიმე სრული ეგზემპლიარი შარშანდელის „ივერიისა“. მსურველს შეუძლიან შეიძინოს ეს წიგნები ან თვითონ „დროება-ივერიის“ რედაქციაში და ან უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში. 1879 წლის განმავალობაში სულ ათი წიგნი გამოვიდა „ივერიისა“. თითო წიგნი ა ი შაურად ისყიდება. ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ფოჩტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ ითოეულ წიგნზე 16 კაპ. ანუ ყველა ათს წიგნზე—1 მან. 60 კაპ.

ცალკე ნომრები

„დროებისა“

ისყიდება:

თფილისში: შაერდოვის სააგენტოში (გალავინის პროსპექტზე, შიოევის სახლებში) ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ხიდთან, ზუბალოვის სახლებში), აზნაუროვის თამბაქოს მაღაზიაში (ბულვარზე, მდივანის შენობაში).

ქუთაისში ოლანეზოვის მაღაზიაში (ხარაზოვის შენობაში).

ამას გარდა რკინის გზის ყველა სტანციებზე და ვაგონებში—კონდუქტორებთან.

სახელოსნო

კლუბისაგან

თფილისის სახელოსნო კლუბის რჩევა ახცხადებს, რომ დიდ მარხვამდინ კლუბში კვირაობით და ოთხშაბათობით იქნება მასკარადი და შაბათობით კი—საოჯახო საღამოები.

სტუმრები იმ წესებით შევლენ კლუბში, რა წესიც ადრე იყო გამოცხადებული.

ტანისამოსი: სამხედროებისათვის სერთუკი და ეპოლეტები, სამოქალაქო წოდებისათვის—შავი სერთუკი.

(5—2)

ქ. ქუთაისში

ახლად ჩამოსული **ქალი აძლევს მუზიკის უროკებს**, როგორც ოჯახებში, ეგრეთვე თავის სახლშიდ ძრიელ იაფად. ფასის გაგება შეიძლება ჩარექოვის სახლში მიხაილოვის ქუჩაზე, სადაც არის სასტუმრო „კავკაზი“.

(3—2

გ. ი. სოგოლევი აძლევს რუსული და ლათინური ენის **უროკებს.** ლაბორატორის ქუჩა, სახ. № 33.

(2—2

18 თებერვლიდამ **ტოლლეს მაღაზიაში** დაიწყობა აჩქარებით **გასყიდვა** ყოველგვარ მოდურ საქონლისა ძალიან ზომიერ ფასად.

თბილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო შკოლის გამგებელი კომიტეტისაგან

საჭიროა თექვსმეტ, ანუ ცოტა მეტ-ოთახიანი **სახლი** ეზოთი, სამზარეულოთი, მოსამსახურეების სადგომ ოთახით, სარდაფით და შეშის შესანახი სარაიით.

პატრონმა უნდა მიმართოს გენერალ ა. ქ. ძე მამაცოვს, ანუ სათავად-აზნაურო შკოლის ინსპექტორს ნ. ლომოურს—ალუკიაში, თ. თაქთაქოვის სახლი, ქურახანების ახლო (**Втарая Кирпичная улица**).

(10—5)

თბილისის სათავად-აზნაურო შკოლის გამგებელი კომიტეტი სთხოვს საზ..,გადოების ბატ. წევრთ ამ თებერვლის გასვლამდის შემოიტანონ წარსულის და 1880 წლების საწევრო ფული.

ამ ფულს მიიღებს საზოგადოების ხაზინადარი ვ. დ. თულაშვილი, თბილისის ოლქის სასამართლოში.

(10—6)

ქართულის თეატრის ამხანაგობა ამით აცხადებს, რომ ყოველს ავტორს, ვისი პიესაც სცენაზედ ღირსეულად აღმოჩნდება, მიეცემა შემწეობა ათ თუმნამდინ. ეს განცხადება არ შეეხება პრემიის თაობაზედ დაბეჭდილს განცხადებას.

(5—5)

სავაჭრო სახლი

იაგორ კასუმოვი და კამპანია

ჰყიდის **შეშას**, რომელიც დაწყობილია ფოთი-თფილისის რკინის გზივაგზალზე. შეშა არის რცხილისა და ჭანდრის, კარგი თვისებისა და მშრალი. საჟენი ისყიდება 40 მანეთად შინ მიუტანელად.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ კასუმოვის უმთავრესს კანტორაში, ალექსანდროვის ბაღის პირ-და-პირ, თუმანოვის სახლში.

ამ კვირიდამ, 27 იანვრიდამ 1880 წ.
ბალაგანში
ცირკის გვერდით, ზუბიბის მაედანზე
საზოგადოებას აჩვენებენ
ჯერ აქ უნახავს მოვლენას:
ყველაზე უდიდესი ევროპაში

ქალი ამალია

და მთელს ქვეყანაში ყველა კაცებზე
უფრო პატარა ადამიანები
მარკიზი **გენრიხ ვოლგე**
და მარკიზა **ლუიზა**

ადგილების ფასი: 1 ადგილისა 50 კაპ., მეორესი—30 კაპ. ბავშვებისათვის ნახევარი ფასია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Февраля 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.